ევროპის პარლამენტის რეზოლუცია ევროკავშირი-რუსეთის სამიტის შესახებ

(2011 წლის 9-10 ივნისი)

ევროპის პარლამენტი,

ითვალისწინებს რა პარტნიორობისა და თანამშრომლობის არსებულ ხელშეკრულებას ევროპის თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებსა და რუსეთის ფედერაციას შორის, და ევროკავშირსა და რუსეთს შორის 2008 წელს ინიცირებულ მოლაპარაკებებს ახალი ხელშეკრულების თაობაზე,
(...)
D. ვინაიდან საქართველოსთან კონფლიქტის შემდეგ თითქმის სამი წლის გასვლის პერიოდისთვის რუსეთი კვლავ არ იცავს 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის ხელშკრულებებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ოსეთიდან და აფხაზეთიდან ჯარების გამოყვანის შესახებ, და არ უზრუნველყოფს ევროკავშირის მონიტორთა სრულ და შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას მათ ტერიტორიებზე,
E. ვინაიდან რუსეთი არის ეუთოს, ევროსაბჭოს და გაეროს წევრი, რომელმაც იკისრა ვალდებულება ამ ორგანიზაციათა ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემისა და განხორციელების კუთხით,
(…)
4. ითვალისწინებს ევროკავშირსა და რუსეთს შორის მიმდინარე დიალოგს სავიზო რეჟიმის შემსუბუქების შესახებ; ხაზგასმით მიუთითებს, რომ ეს დიალოგი უნდა შეესაბამებოდეს აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების პროცესს; მოუწოდებს უმაღლეს წარმომადგენელს და კომისიას დაარწმუნონ რუსეთი შეწყვიტოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მოქალაქეებისთვის პასპორტების გაცემა;
(…)
10. მოუწოდებს რუსეთს პატივი სცეს მის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას და შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების ყველა პირობა და დაუყოვნებლივ გაიყვანოს მისი ჯარები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან _ სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან;
(…)
12. აღნიშნავს, რომ რუსეთმა, რომელსაც ვეტოს უფლება აქვს გაეროს უშიშროების საბჭოში, უნდა იკისოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო კრიზისებში და სრულად უნდა უზრუნველყოს და დაიცვას მისი მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტი;
13. ავალებს მის პრეზიდენტს აღნიშნული რეზოლუცია გადაუგზავნოს საბჭოს, წევრი სახელმწიფოების მთავრობებსა და პარლამენტებს, რუსეთის ფედერაციის მთავრობას და პარლამენტს, ევროპის საბჭოს და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას.

（http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.）